ნატა დავითაშვილი



ინტერაქტიული სავარჯიშოები

A2

ქართული როგორც უცხო ენა
GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE

A2 დონის ინტერაქციული სავარჯიშოები მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

ავტორი – ნატა დავითაშვილი
ილუსტრატორ-დიზაინერი – ქეთევან ლომიშვილი

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი – მარიკა ოძელი

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახი“, 2017

A2 დონის „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“ განკუთვნილია ქართული ენის უცხოელი შემსწავლელებისათვის და მიზნად ისახავს მასწავლებლისა და სტუდენტის აქტიური მონაწილეობით შემსწავლელის ენობრივი ცოდნის განმტკიცებას, განსაკუთრებით ისეთი უნარების (ლაპარაკი, წერა) გაუმჯობესებას, რომლებიც ენის პრაქტიკაში გამოყენებას გულისხმობს. სავარჯიშოების კრებული აერთიანებს ენის ფლობის ყველა უნარს: წერას, კითხვას, მოსმენასა და ლაპარაკს და პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც A2 დონის შემსწავლელის წინაშე დგას ქართული ენისთვის ადაპტირებული საერთოევროპული „ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობის“ შესაბამისად (იხილეთ გვ. 4-6).

როდის გამოვიყენოთ „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“?
სავარჯიშოები ითვალისწინებს A2 დონის სრულ ლექსიკასა და გრამატიკულ ცოდნას. ცოდნის განმტკიცებისა და ენობრივი უნარების გააქტიურების მიზნით მისი გამოყენება მიზანშეწონილია „აღმართის“ ან ნებიმიერი სხვა A2 დონის სახელმძღვანელოს დასრულების შემდეგ შესაბამისი დონის ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურის გავლამდე, რამდენადაც მოსმენისა და კითხვის უნარების სავარჯიშოების უმეტესობა ეფუძნება აღნიშნულ საკითხავ მასალას.

როგორ გამოვიყენოთ „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“?
როგორც კრებულის სახელწოდებაც მიანიშნებს, „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“ გულისხმობს მასწავლებლისა და შემსწავლელის ერთობლივ მუშაობას სავარჯიშოების შესრულებისას. ზოგი სავარჯიშო (განსაკუთრებით წერისა და ლაპარაკის უნარებზე) აგებულია ისე, რომ პირობის სტუდენტებისთვის გაცნობა მთლიანად მასწავლებელს ევალება. მასწავლებლის ჩართულობა აუცილებელია ტექსტებში გამოყენებული უცხო სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობის პროცესშიც. სწორედ ამიტომ მასწავლებელმა სავარჯიშოებზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს შემსწავლელთან უკუკავშირზე, რათა სრულად შესრულდეს წინამდებარე კრებულის შექმნის მიზანი. მოსასმენი დავალებების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ისე მოასმენინოს აუდიომასალა სტუდენტს, რომ მას არ ჰქონდეს მოსასმენის შესაბამისი ტექსტის წაკითხვის შესაძლებლობა.

ქართული ენის ფლობის A2 დონის სტანდარტული აღწერილობა

წყარო: www.geofl.ge

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ნელა და ძალიან გარკვევით ნათქვამ ტექსტში ხშირად ხმარებული სიტყვების, ცალკეული ფრაზებისა და მოკლე წინადადებების გაგება (მაგ., გამყიდველისა და მყიდველის დიალოგი...).
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ტექსტი, რომელიც მისთვის ნაცნობ თემებს (ოჯახი, სწავლა, სამუშაო, თავისუფალი დრო...) ეხება.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნელა და გარკვევით წარმოთქმული ტექსტის ძირითადი არსი, თუ ტექსტი საყოფაცხოვრებო საკითხებს ეხება.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი შეტყობინებებისა და ამბების დედააზრი, თუ ტექსტი დინჯად და გარკვევით არის ნათქვამი და მისთვის ნაცნობ თემებს ეხება.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, რომელიც ეხება რაიმე ნივთის ფერს, ზომას, წონას, მოცულობას.
შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს, როგორ მივიდეს დანიშნულ ადგილამდე, როცა მას გზას ასწავლიან.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტის ძირითადი ინფორმაცია იმ თემების შესახებ, რომლებიც მას აინტერესებს.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ძირითადი ინფორმაცია სპორტული ანგარიშის, რეკლამის, ამინდის პროგნოზის შესახებ, თუ საუბრობენ ნელა და გარკვევით.
შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს, თუ რას ეხება შემთხვევით გაგონილი საუბარი მაღაზიაში/ტრანსპორტში.
შემსწავლელს შეუძლია მიხვდეს მოსაუბრეების განწყობას (როგორ ხასიათზე არიან; როგორ გრძნობენ თავს: კარგად, ცუდად, მხნედ...).

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი ტექსტისა თუ შეტყობინების ძირითადი არსი.
შემსწავლელს შეუძლია ცალკეული ფრაზებისა და ხშირად გამოყენებადი სიტყვების გაგება, თუ ტექსტი მისთვის საინტერესო თემას ეხება.
შემსწავლელს შეუძლია ადვილად მისახვედრი ინფორმაციის მოძიება განრიგში, ცხრილში, მენიუში, რეკლამაში, განცხადებაში...
შემსწავლელს შეუძლია პირადი წერილების გაგება.
შემსწავლელს შეუძლია წიგნის სარჩევში/საძიებელში, ცნობარში ან ინტერნეტში მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება და მისი ძირითადი არსის გაგება.
შემსწავლელს შეუძლია ჟურნალ-გაზეთებსა და ინტერნეტში მისთვის ნაცნობ თემებზე აგებული მარტივი სტატიების დედააზრის გაგება.
შემსწავლელს შეუძლია წარწერების, აბრებისა და მინიშნებების (დირექტივები, ინსტრუქციები, გაფრთხილებები) გაგება (მაგ., ქუჩაში, პარკში, რესტორანში, რკინიგზის სადგურში, აეროპორტში, მეტროში, კინოთეატრში...).
შემსწავლელს შეუძლია ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ ძირითადი ინფორმაციის გაგება (მოწვევა გამოფენის გახსნაზე, კინოთეატრის აფიშები, კონცერტების/ფესტივალების პროგრამა და განრიგი და ა.შ.).

შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიური მოხმარების საგნების ინსტრუქციების ძირითადი მითითებების გაგება, თუ ისინი შეიცავს ცალკეულ მოკლე წინადადებებსა და ილუსტრაციებს (მაგ., უსაფრთხოების ინსტრუქციები მატარებელში, თვითმფრინავში...).
შემსწავლელს შეუძლია არაოფიციალური წერილის გაგება, თუ ის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ინფორმაციას შეიცავს.
შემსწავლელს შეუძლია მისთვის საინტერესო ან საყოფაცხოვრებო თემებზე თხრობითი ხასიათის მცირე ზომის, მარტივი მხატვრული ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგება, თუ ტექსტს მკაფიო და ლოგიკური სტრუქტურა აქვს.
შემსწავლელს შეუძლია ჟურნალ-გაზეთებსა თუ ინტერნეტში მოიპოვოს მისთვის საინტერესო მარტივი ინფორმაცია და გაიგოს მისი მთავარი აზრი.
შემსწავლელს შეუძლია მარტივი ინტერვიუს წაკითხვისას მიხვდეს მის არსს და გაერკვეს, თუ როგორ ახასიათებენ ადამიანები ერთმანეთს, მიხვდეს, ვის რა თვისება აქვს.

ლაპარაკი

შემსწავლელს შეუძლია საკუთარ თავზე მოკლე ინფორმაციის (ვინაობა, მისამართი, ტელეფონის ნომერი, საიდან არის და სად მუშაობს...) გაცემა.
შემსწავლელს შეუძლია გადმოსცეს საკუთარი ოჯახის შესახებ ძირითადი ინფორმაცია (მაგ., ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, რა ასაკისა და პროფესიის არიან ისინი და ა. შ.).
შემსწავლელს შეუძლია თქვას, რა არის მისი ჰობი (მაგ., სიმღერა, ცეკვა, ხატვა, ცურვა, ფეხბურთი...).
შემსწავლელს შეუძლია თქვას და მარტივად დაასაბუთოს რა უყვარს/მოსწონს ან არ უყვარს/არ მოსწონს; ასევე გადმოსცეს, თუ სად (სოფელში, ქალაქში, ზღვაზე, მთაში...) ურჩევნია ყოფნა.
შემსწავლელს შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშე წარადგინოს მისთვის ნაცნობი საგანი/ობიექტი (მაგ., ქვეყანა, მუსიკალური ჯგუფი, გუნდი).
შემსწავლელს შეუძლია თავაზიანი ფორმების გამოყენებით მიმართოს სხვას და დაუსვას არცთუ რთული შეკითხვა.
შემსწავლელს შეუძლია მიპატიჟებაზე დათანხმება/უარის თქმა. მას ასევე შეუძლია მობოდიშება, მობოდიშებაზე სტანდარტული პასუხი და თავაზიანი თხოვნა გაუგებარი სიტყვის/წინადადების გამეორების თაობაზე.
შემსწავლელს შეუძლია ყოველდღიურ პრაქტიკულ საკითხებზე მარტივად მსჯელობა, როდესაც უშუალოდ მას მიმართავენ და მკაფიოდ და დინჯად საუბრობენ.
შემსწავლელს შეუძლია მოკლედ და მარტივად ილაპარაკოს რაიმე მოვლენის, ფაქტის (მაგ., წვეულების, ექსკურსიის, გაკვეთილის...) შესახებ და გამოხატოს მასთან დაკავშირებული ემოციები.
შემსწავლელს შეუძლია აღწეროს ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობა, მისასვლელი გზა, სატრანსპორტო საშუალება, მგზავრობის ხანგრძლივობა, მანძილი და ა.შ.
შემსწავლელს შეუძლია მოკლე ამბის მოყოლა მოვლენების თანამიმდევრობის დაცვით.
შემსწავლელს შეუძლია სხვებს მოუთხროს თავისი საქმიანობის შესახებ და უპასუხოს ამ თვალსაზრისით მისთვის დასმულ შეკითხვებს. მას თავადაც შეუძლია სხვას ჰკითხოს ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებით.
შემსწავლელს შეუძლია მოკლედ ილაპარაკოს თავისი გეგმებისა (რას აპირებს კვირის ბოლოს/არდადეგებზე...) და იმის შესახებ, თუ როგორ აღნიშნავენ დღესასწაულებს მის ქვეყანაში.
შემსწავლელს შეუძლია მოითხოვოს მომსახურება (მაღაზიაში, ბანკში...), მიიღოს და გასცეს მარტივი ინფორმაცია (ყიდვა-გაყიდვის, მგზავრობის... შესახებ).
შემსწავლელს შეუძლია მოკლე სატელეფონო საუბრის წარმართვა (მაგ., შეხვედრის ადგილის დანიშვნა...).
შემსწავლელს შეუძლია ითხოვოს დახმარება (მაგ., მარშრუტის ჩვენება გეგმაზე ან რუკაზე...) და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს, როცა მას სთხოვენ დახმარებას.

შემსწავლელს შეუძლია ჩაერთოს ნაცნობი თემტიკის განხილვის პროცესში (შესაძლოა, ინტერვიუს ფორმით), თუ დროდადრო განუმარტავენ გარკვეულ სიტყვებს/გამოთქმებს/ფრაზებს... ან ეხმარებიან თავისი სათქმელის ფორმულირებაში.
შემსწავლელს შეუძლია სტანდარტული ფრაზებით ჩაერთოს ოფიციალურ მსჯელობაში, თუ საუბარი მის პროფესიულ საქმიანობას ეხება და მოსაუბრეები მეტყველებენ მკაფიოდ და ნელა. მას ასევე შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა ამა თუ იმ საკითხზე, როდესაც უშუალოდ მას მიმართავენ და საჭიროებისამებრ იმეორებენ საკვანძო მომენტებს.
შემსწავლელს შეუძლია სხვადასხვა საკითხზე სტანდარტული რეპლიკებით შეკამათება და თავისი პოზიციის წარმოჩენა.
შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით გადმოსცეს საკუთარი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, გამოხატოს ემოციები.

წერა

შემსწავლელს შეუძლია თავისი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ მოკლე მარტივი ჩანაწერების გაკეთება/ბლანკის შევსება განათლების, ინტერესების, სპეციალური ცოდნის/უნარების შესახებ.
შემსწავლელს შეუძლია თავისთვის ჩამოწეროს სამეცადინო გეგმა კვირის დღეებისა და თარიღების მითითებით. მას ასევე შეუძლია მარტივად ჩაიწეროს გეგმაში, როდის რა ისწავლა და კიდევ რა აქვს სასწავლი.
შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით დაწეროს საკუთარი საქმიანობის (მაგ., სამსახურის, სპორტისა და თავისუფალი დროის...) შესახებ.
შემსწავლელს შეუძლია ახლობელს მისწეროს მარტივი ხასიათის მოსაწვევი ბარათი და წერილობით უპასუხოს ასეთ მოწვევას/გამოხატოს მადლიერება. მას ასევე შეუძლია მარტივი სიტყვებით გამოხატოს მოწვევაზე თანხმობა და ის, რომ არ/ვერ ახერხებს შეხვედრაზე წასვლას/აგვიანდება/ავად არის/სხვა საქმით არის დაკავებული.
შემსწავლელს შეუძლია ნაცნობებსა და მეგობრებს საჭირო მარტივი ინფორმაცია მიაწოდოს, რჩევა მისცეს ელექტრონული ფოსტით/ მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS-ით) ამა თუ იმ ტექნიკის ფასის შესახებ სხვადასხვა მაღაზიაში, რომელი სპორტული კლუბი/ საცურაო აუზი ჯობს...
შემსწავლელს შეუძლია მოკლე წინადადებებით დაწეროს, თუ რა უყვარს/მოსწონს... არ უყვარს/არ მოსწონს ყველაზე მეტად.
შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი წინადადებებით მისთვის ნაცნობი საგნების, ადგილების, ასევე მოგზაურობის მიზნის აღწერა.
შემსწავლელს შეუძლია მარტივი, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული წინადადებებით აღწეროს რაიმე მოვლენა, როდის და რა ვითარებაში მოხდა იგი.
შემსწავლელს შეუძლია ისეთი მარტივი ფრაზებისა და წინადადებების დაწერა, სადაც გამოყენებულია მარტივი კავშირები "და", "მაგრამ", "იმიტომ, რომ".
შემსწავლელს შეუძლია ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება, მარტივი ისტორიის მოყოლა (მაგ., ლამაზად გატარებული არდადეგების ან მომავალი ცხოვრების შესახებ).
შემსწავლელს შეუძლია მარტივი განცხადების დაწერა, მისთვის საინტერესო განცხადებაზე რეაგირება, პირადი/ზოგადი ხასიათის/ყოველდღიურობასთან დაკავშირებული მოკლე ინფორმაციის განთავსება ვებგვერდსა თუ სოციალურ ქსელში.

ქართული როგორც უცხო ენა

GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE

მოსმენის უნარის შესამოწმებლად გამოყენებულია A2 დონის ადაპტირებული საკითხავი მასალა (ვებმისამართი: http://geofl.ge/#!/page_read-book).

1 მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (1) და შესარულეთ დავალებები:

1. როგორ ყავას სვამდა ბეთჰოვენი?
2. რატომ არ უნდა დავლიოთ ყავა უზმოზე?
3. ვიდეოჩანაწერის მიხედვით, რატომ არ არის საშიში ყავაზე დამოკიდებულება?
4. რისი დამარცხება შეუძლია ნამდვილ ყავას?
5. ვიდეოჩანაწერის მიხედვით, თავის ტკივილის წამალი უფრო ეფექტურია თუ ყავა?

მონიშნეთ, რომელია სწორი (√) და არასწორი (X) ინფორმაცია ყავის შესახებ:

	სწორია	არასწორია
ზრდის ტვინის აქტივობას		
აქვეითებს ყურადღებას		
აუმჯობესებს კონცენტრაციის უნარს		
აჩქარებს ადამიანის რეაქციას		
ზრდის სიკვდილის რისკს		
ზრდის ტვინის აქტივობას		

2

მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (2) და მონიშნეთ, რომელია სწორი და რომელი არასწორი:

	სწორია	არასწორია
სირაქლემას შეუძლია ადამიანი ერთი დარტყმით მოკლას.		
სპილო იწონის უფრო მეტს, ვიდრე ლურჯი ვეშაპის ენა.		
ფუტკრებს აქვთ ძალიან გრძელი ბუსუსები თვალებზე.		
უდაბნოს კალიების გუნდმა შეიძლება ოთხას ოცი კვადრატული მილი დაიკავოს.		
ყველა პოლარული დათვი არის ცაცია.		
ახალშობილ ჟირაფს ნახევარ საათში უკვე ფეხზე დგომა შეუძლია.		
ღამურები გამოქვაბულიდან ყოველთვის უხვევენ მარჯვნივ.		
ზებრას მსგავსად არცერთ ვეფხვს არ აქვს ერთნაირი ზოლები.		
პეპლები მცენარეებს თავიანთი პატარა ფრთებით სინჯავენ.		

3

მოუსმინეთ ტექსტს „ჩემი ოჯახი“ („მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“) და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1. მონიშნეთ რომელია სწორი:

ა.

- ◯ ვაჟას დედა ორმოცი წლის არის და ჰქვია ქეთო;
- ◯ ვაჟას დედა ორმოცდახუთი წლის არის და ჰქვია ნელი;
- ◯ ვაჟას დედა ორმოცდახუთი წლის არის და ჰქვია ქეთო.

ბ.

- ◯ ვაჟას მამას ჰქვია ლეო და ორმოცდარვა წლის არის;
- ◯ ვაჟას მამას ჰქვია ლექსო და ორმოცდარვა წლის არის;
- ◯ ვაჟას მამას ჰქვია ლეო და და ორმოცდათვარამეტი წლის არის.

გ.

- ◯ ვაჟას შვილს ჰქვია ვამეხი და ორი წლის არის;
- ◯ ვაჟას შვილს ჰქვია ვამეხი და სამი წლის არის;
- ◯ ვაჟას შვილს ჰქვია ვანო და სამი წლის არის.

2. რატომ არ ახსოვს ვაჟას პაპა კარგად?
3. როგორი იყო ვაჟას ოჯახი?
4. ვინ არიან ვამეხის ბებია და პაპა?
5. რაზე ოცნებობდა ვაჟა, როცა პატარა იყო და რაზე ოცნებობს ახლა?

4 მოუსმინეთ ტექსტს „დილა მისტერ და მისის სკვირსებთან“ („ნიკოლას ნიკლბის“) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რა უნდა გაეკეთებინა ცოლ-ქმარ სკვირსებთან ნიკლბის?
2. რატომ ვერ დაიბანა სახე მეორე დილას ნიკლბიმ?
3. რას ეძებდნენ ცოლი და ქმარი?
4. რისი წამალი იყო გოგირდი და ტკბილი ღვინო?
5. გარდა წამლისა, გოგირდს კიდევ რისთვის აძლევდა მისის სკვირსი ბიჭებს?
6. რატომ გაუბრაზდა მისის სკვირსი სმაიკს?
7. როგორ ახასიათებს მისტერ სკვირსი თავის ცოლს?
8. რეალურად როგორ ექცევიან მისტერ და მისის სკვირსები ბიჭებს?
9. საკუთარ სახლშიც კი <u>თავს იტყუებდა</u> და სჯეროდა, რომ კეთილი კაცი იყო. როგორ გესმით: თავს იტყუებდა?
10. შეავსეთ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები: ქალს ..... ომი ჰქონდა ბიჭებთან, ქმარს კი – ..... .

5 მოუსმინეთ ტექსტს „საზეიმო შეხვედრა“ („ნიკოლას ნიკლბის“) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რა ჩამოჰქონდა ლონდონიდან მისტერ სკვირსს?
2. რას აკეთებდნენ ბავშვები საზეიმო შეხვედრამდე?
3. ვინ ნახა ლონდონში მისტერ სკვირსმა?
4. რატომ სცემდა ხელებში მისტერ სკვირსი ბოლდერს?
5. რა და რატომ უნდა ეყიდა კობის დის გამოგზავნილი ფულით?
6. რა თხოვნა შეუსრულა მობსის დედინაცვალს მისტერ სკვირსმა?
7. დაახასიათეთ, როგორი ადამიანები იყვნენ მისტერ და მისის სკვირსები?
8. შეავსეთ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები: ზოგს ..... გამოუგზავნეს ნათესავებმა, ზოგს – ..... , ... ან სხვა ..... .

6 მოუსმინეთ ტექსტს „სიმონ ჩიქოვანი და მარიკა ელიავა“ (სიყვარულის რეალური ისტორიები) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რითი განსხვავდებოდნენ ფუტურისტები სხვა პოეტებისგან?
2. სად ნახა პირველად სიმონმა მარიკა ელიავა?
3. ვინ იყო მარიკა ელიავას და?
4. რას აკეთებდა სიმონ ჩიქოვანი, მარიკა ელიავას რომ მოსწონებოდა?
5. რამდენი წლის შემდეგ დაქორწინდნენ მარიკა და სიმონი?
6. რა დაავადება ჰქონდა სიმონს სიცოცხლის ბოლო წლებში?
7. სად არის დაკრძალული სიმონ ჩიქოვანი?
8. თქვენი აზრით, რაზე მიანიშნებს მარიკა ელიავას სიკვდილის წინ ნათქვამი სიტყვები: „დამწვით და ფერფლი, ჩემი ქმრის საფლავს მოაყარეთ. ასე სულ მასთან ვიქნები“.

9. სიმონ ჩიქოვანი და მარიკა ელიავა რომ დაქორწინდნენ:
ა. მარიკა ოცდასამი წლის იყო, სიმონი – ოცდაერთის.
ბ. მარიკა ოცდასამი წლის იყო, სიმონი – ოცდაათის.
გ. მარიკა ოცდაცამეტი წლის იყო, სიმონი – ოცდაათის.

10. სიმონის სიკვდილიდან რამდენი წლის შემდეგ გარდაიცვალა მარიკა ელიავა
ა. ორი წლის შემდეგ;
ბ. ოთხი წლის შემდეგ;
გ. რვა წლის შემდეგ.

11. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, როგორ გესმით ეს წინადადება:
ავადმყოფი მეუღლე მისი თვალი და ხელი გახდა.

12. შეავსეთ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები: მარიკა იყო პოეტ სიმონ ჩიქოვანის ..... და მისი პოეზიის ..... .

7

მოუსმინეთ ტექსტს „ტიციან ტაბიძე და ნინო მაყაშვილი“ (სიყვარულის რეალური ისტორიები) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. ვინ გააცნო ერთმანეთს ტიციან ტაბიძე და ნინო მაყაშვილი?

2. რას ეძახდნენ ნინო მაყაშვილს და რატომ?

3. შეავსეთ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები: ტიციანს ჰქონდა ძალიან ....., დიდი, ... თვალები და ..... თითები.

4. ტექსტის მიხედვით, თქვენი აზრით, როგორი მეგობარია პაოლო იაშვილი?

5. რომელი ქვეყნის მწერლები ჩამოდიოდნენ ტიციანისა და ნინოს ოჯახში?

6. რა ფუნქციას ასრულებდა იმ პერიოდში ნინოსა და ტიციანის ოჯახი?

7. ეს უცნობი კაცი პოეტი იყო.
დაწერეთ უცნობის ანტონიმი.

8. ნინომ და ტიციანმა ჯვარი დაიწერეს.
რას ნიშნავს ჯვრის დაწერა?

8

მოუსმინეთ ტექსტს „მიხეილ თამარაშვილი“ (სხვისთვის გაცემული სიცოცხლე) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. სად და რა განათლება მიიღო მიხეილ თამარაშვილმა?

2. რა სახელით იცნობდნენ მიხეილს იტალიაში?

3. რა დამსახურება აქვს ქართული კულტურის წინაშე მიხეილ თამარაშვილ?

4. რატომ დამთავრდა მიხეილის ცხოვრება ტრაგიკულად?

5. სად არის დაკრძალული მიხეილ თამარაშვილი?

6. რომელ წელს გადმოასვენეს მიხეილ თამარაშვილი საქართველოში?
ა. ათას ცხრაას ორმოცდაერთ წელს;
ბ. ათას ცხრაას ოთხმოცდაერთ წელს;
გ. ათას ცხრაას ოთხმოცდაათ წელს.

7. შეავსეთ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები:
იქ მან დაამთავრა რომის ..... აკადემია და ..... ეკლესიის აბატი და ..... დოქტორი გახდა.

8. გაეცანით ამ თავის სხვა ტექსტებსაც და გამოთქვით თქვენი ვარაუდი, რატომ ჰქვია მათ საერთო სახელი – „სხვისთვის გაცემული სიცოცხლე“?

9 მოუსმინეთ მოთხრობას „გზაზე ბიჭი მიდიოდა“ და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1. რატომ სციოდა ბიჭს დილით რომ გაიღვიძა?
2. წელიწადის რომელ დროა აღწერილი მოთხრობაში?
3. რატომ უნდა ბიჭს აფრიკაში ცხოვრება?
4. კიდევ ერთხელ მოუსმეინეთ, თუ რას საყვედურობს მამა შვილს.
 დაახასიათეთ ამ სიტყვების მიხედვით ბიჭი.
5. რატომ იყო ხუთშაბათი ყველაზე ცუდი დღე და პარასკევი ყველაზე კარგი?
6. მთხრობელის აზრით, რომელი კლასელი არ შეცვლილა ბავშვობის შემდეგ?
7. რას ნიშნავს გულმა უთხრა?

ა. იფიქრა;

ბ. დაიღალა;

გ. თქვა.

8. შეავსეთ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები:

ა. ჩემს მეგობარ სანდრიკას ახალი ..... კედები აქვს, ჩემი კი ..... .

ბ. აიღო ბიჭმა ჩანთა და საუზმე: ცოტა ....., ... და ..... .

10 მოთხრობიდან „იავნანამ რა ქნა?!“ მოუსმინეთ ტექსტებს – ლეკები კახეთში და ქეთოს მოტაცება – და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რისთვის დადიოდნენ ლეკები კახეთში?
2. როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ლეკებსა და ქართველებს?
3. რა გადაწყვიტა ვაშლოვანში ჩამოსულმა ორმა ლეკმა?
4. ზურაბ ქართველაძე ხომ ძალიან მდიდარია? დაწერეთ მდიდრის ანტონიმი.
5. საიდან გაიტაცეს ქეთო ლეკებმა?
6. ვინ უთხრა ქეთოს მშობლებს მისი გატაცები ამბავი?

ქართული როგორც უცხო ენა

GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE

კითხვის უნარის შესამოწმებლად (მე-5-დან მე-9 სავარჯიშოს ჩათვლით) გამოყენებულია A2 დონის ადაპტირებული საკითხავი მასალა (ვებმისამართი: http://geofl.ge/#!/page_read-book).

1 გაეცანით CV-ს და უპასუხეთ კითხვებს:

CV24 გაცხადებისID: 8922

დარჩა: Expired	ბენეფიტი	15	00

გამოქვეყნდა: 01 ნოემბერი
ბოლო ვადა: 01 დეკემბერი

მდებარეობა
თბილისი

განაკვეთი
სრული

სფერო
ჯანმრთელობა/მედიცინა

გამოცდილება
გამოცდილი/სპეციალისტი

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ /ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲘ

BENEFITS+

სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია **"გლობალ ბენეფიტს ჯორჯია"** აცხადებს ვაკანსიას **პირადი ექიმის / კონსულტანტის** პოზიციაზე.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ:

- დაზღვეულის პერსონალური, პირველადი მრავალპროფილური და უწყვეტი სამედიცინო მეთვალყურეობა;
- პაციენტების დიაგნოსტირება და მკურნალობა;
- საერთაშორისო გაიდლაინების და შიდა პროტოკოლების ზედმიწევნით ცოდნა;
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება;
- პაციენტის პირველადი ჯანდაცვის დონეზე მართვის უზრუნველყოფა.

ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ:

- განათლება / სამუშაო გამოცდილება;
- უმაღლესი სამედიცინო განათლება (პედიატრი/თერაპევტი);
- ოჯახის ექიმის ან თერაპევტის სახელმწიფო სერტიფიკატი;
- სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული კლინიკური და საკანონმდებლო ნორმების ცოდნა;
- დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სასურველია რუსული და ინგლისური ენების საკომუნიკაციო დონეზე ფლობა;
- MS Office პროგრამების ცოდნა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ;

- პუნქტუალურობა;
- ყურადღება დეტალების მიმართ და შედეგზე ორიენტირებულობა;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობა.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ:

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გამოაგზავნოთ CV 1-ლი დეკემბრის ჩათვლით.

განცხადება დასრულებულია

1. რა პოზიციაზე აცხადებს ვაკანსიას კომპანია „გლობალ ბენეფიტ ჯორჯია“?

2. როდის გამოქვეყნდა განცხადება?

3. ჩამოთვალეთ თანამიმდევრულად, CV-ში მოცემული ექიმის პიროვნული თვისებებიდან, თქვენთვის რომელი არის უფრო მთავარი.

4. მონიშნეთ, საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან რომლები არის აუცილებელი:

- [ ] განათლება / სამუშაო გამოცდილება;
- [ ] უმაღლესი სამედიცინო განათლება (სტომატოლოგი);
- [ ] სასურველია, რუსული და ინგლისური ენების საკომუნიკაციო დონეზე ფლობა;
- [ ] MS Office პროგრამების ცოდნა;
- [ ] დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

2 გაეცანით კომპანია ვიზიარის სერვისებს ბორტზე:

ინფორმაცია და სერვისები

ძებნა...

ინფორმაცია ჯავშნის შესახებ
სამგზავრო ინფორმაცია
ბარგი
ელექტრონული მოწყობილობები ბორტზე
ადგილების განაწილება
განსაკუთრებული დახმარება
სამგზავრო დოკუმენტები
სერვისები ბორტზე
ჩვილ და მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მგზავრობა
ფასები და ფასდაკლებები
რეისის სტატუსი
WIZZ სერვისები
პარტნიორთა სერვისები
Career
კონტაქტი
კითხვა-პასუხი

სერვისები ბორტზე

კითხვა-პასუხი

WIZZ CAFÉ

ცხელი სასმელები, ახალი სენდვიჩები, მსუბუქი სასმელები, გამაგრილებელი სასმელები, ალკოჰოლური სასმელები

WIZZ BOUTIQUE

Wizz Air-ის საფირმო საჩუქრებისა და სამოგზაურო აქსესუარების ფართო არჩევანი

გაითვალისწინეთ, რომ პროდუქციის ხელმისაწვდომობა და ბრენდები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით.

ცხელი სასმელებიდან შესანიშნავ საჩუქრებამდე

შეუკვეთეთ კაპუჩინო და შეიქციეთ თავი მგზავრობისას Wizz Boutique-ის პროდუქციის დათვალიერებით!
ჩვენს ბორტზე უმაღლესი ხარისხის პროდუქტების ფართო არჩევანი გელოდებათ, ჩვენი ეკიპაჟის წევრები კი, მუდამ მზად არიან თქვენს დასახმარებლად.

WIZZ Café გთავაზობთ:

- ცხელ სასმელებს,
- სენდვიჩებს,
- მსუბუქ საუზმეულს,
- გამაგრილებელ სასმელებს,
- ალკოჰოლურ სასმელებს.

WIZZ Boutique გთავაზობთ:

- Wizz Air-ის საფირმო საჩუქრებს,
- წამყვანი ბრენდების სუნამოებს,
- საჩუქრების ფართო არჩევანს,
- სამოგზაურო აქსესუარებს.

ტექსტიდან გამომდინარე მონიშნეთ, სწორია თუ არასწორი.
ვიზიარის კაფე გთავაზობთ:

	სწორია	არასწორია
ცხელ სასმელებს		
ტკბილეულს		
ვახშამს		
გამაგრილებელ სასმელებს		
ხილს		
სენდვიჩებს		
ალკოჰოლურ სასმელებს.		

3 გაეცანით ინფორმაციას ღვინოებთან დაკავშირებით.

№1 ამოწერეთ:

ა. რომელ ღვინოზეა საუბარი?

ბ. როგორია ეს ღვინო?

გ. სად იყიდება?

საფერავი, წითელი მშრალი,
კორპორაცია ქინძმარეული, ...
გერმანიაში იყიდება

№ 2 ამოწერეთ:

ა. რომელი ჯიშის ყურძნისგან არის დამზადებული?

ბ. რომელ ადგილს იკავებს ღვინოების ათეულში?

გ. რა ჯილდო აქვს მიღებული?

კახური
ერთ-ერთი ლიდერი ინდუსტრიაში

- საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებულ ღვინოების საუკეთესო ათეულში მესამე ადგილი. მუკუზანი 2004, შპს „კახური“

შადონე, შპს „კახური“, ქართული ღვინის ოჯახი.

- დიპლომი, ოქროს მედალი საქართველოს საერთაშორისო ღვინის დაჯილდოება. საქართველო ღვინის სამშობლო.

2008 წელი.

4 გაეცანით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის აფიშას და შეავსეთ ცხრილში შემდეგი ინფორმაცია:



ოპერის სახელწოდება	კომპოზიტორი	ლიბრეტოს ავტორი	პრემიერის გამართვის თარიღი	სეზონი	პრემიერა ვენის თეატრში (თარიღი)

5 წაიკითხეთ მოთხრობის „იავნანამ რა ქნა?!“ პირველი თავი, ბედნიერი ოჯახი და შეასრულეთ დავალებები:

1. სად მდებარეობს სოფელი ვაშლოვანი?
2. ვინ არის ზურაბ ქართველიშვილი?
3. როგორ ფიქრობთ, უყვარდათ თუ არა მაგდანი სოფელში და რატომ?
4. როგორი გოგო იყო ქეთო?
5. ის ეხმარებოდა ყველა ავადმყოფს, ღარიბსა და ობოლს.

ამოწერეთ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვები და მიუწერეთ ანტონიმები.

6 წაიკითხეთ ამბავი გურამ რჩეულიშვილზე (სხვისთვის გაცემული სიცოცხლე) და შესარულეთ დავალებები:

1. ტექსტიდან გამომდინარე, ამონიშნეთ, რომელია სწორი და არასწორი წინადადებები:

	სწორია	არასწორია
გურამი ნიჭიერი მწერალი იყო.		
გურამს მხოლოდ ზღვაზე სიარული უყვარდა.		
გურამი კარგად ცურავდა.		
გურამმა ნაცნობი ქართველი გოგო გადაარჩინა.		
გურამ რჩეულიშვილი 26 წლის გარდაიცვალა.		

2. დაწერეთ ახალგაზრდას ანტონიმი.
3. გადმოეცით თქვენი სიტყვებით, როგორ გესმით ფრაზა: „გურამს უყვარდა სიცოცხლე, სხვისი სიცოცხლეც უყვარდა!“
4. ტექსტიდან გამომდინარე დაახასიათეთ, როგორი ადამიანია გურამი.

7 წაიკითხეთ ტექსტი „გალაკტიონ ტაბიძე და მერი შერვაშიძე“ (სიყვარულის რეალური ისტორიები) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. სად ნახა გალაკტიონმა პირველად მერი შერვაშიძე?
2. რომელ წელს დაწერა გალაკტიონმა ლექსი „მერი“?
3. რომელი დიზაინერის მოდელი იყო მერი შერვაშიძე?
4. რამდენი შვილი ჰყავდა მერი შერვაშიძეს?
5. რას ნიშნავს სიტყვა ემიგრანტი?
6. დაწერეთ გარდაიცვალას საპირისპირო სიტყვა.
7. წინადადებაში – მერი შერვაშიძე გიგუშა ერისთავზე 1918 წელს დაქორწინდა – სიტყვა დაქორწინდა შეცვალეთ იმავე მნიშვნელობის სხვა სიტყვით ან სიტყვებით.

8. მერიმ წლების შემდეგ შეიტყო გალაკტიონის შესახებ.

ხაზგასმული ზმნა შეცვალეთ იმავე მნიშვნელობის სხვა ზმნით.

9. დაწერეთ თქვენი სიტყვებით, როგორ გესმით „ზღაპრული სილამაზე“?

10. ტექსტიდან გამომდინარე, რა როლი შეასრულა მერი შერვაშიძემ გალაქტიონის ცხოვრებაში?

8 წაიკითხეთ ტექსტი „ნიკო ფიროსმანი და მსახიობი მარგარიტა“ (სიყვარულის რეალური ისტორიები) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები:

1. რატომ ვერ იპოვა წერილის მიმტანმა კაცმა ნიკო ფიროსმანი?

2. რა პროფესიის იყო მარგარიტა?

3. რატომ გაყიდა ფიროსმანმა თავისი პატარა მაღაზია?

4. სად და რომელ წელს იყო გამოფენილი ფიროსმანის ნახატები?

5. რომელი სიმღერა დაიწერა ამ თემაზე?

6. ტექსტის მიხედვით, რა არის ლეგენდარული ამ ამბავში?

7. როგორ გესმით: „ფიროსმანმა ზღვა ყვავილები იყიდა“.

8. თვითონ უკანასკნელი ფულით ღვინის დასალევად წავიდა.
განმარტეთ თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს უკანასკნელი ფული?

9. ტექსტიდან გამომდინარე დაახასიათეთ, როგორი მხატვარი იყო ნიკო ფიროსმანი.

10. მოუყევით ჯგუფის წევრებს, რა იცით დამატებით ნიკო ფიროსმანის შესახებ. თუ არა, მოიძიეთ ინტერნეტში მასზე ინფორმაცია.

9 წაიკითხეთ „ბებიას წერილი ქალაქში შვილიშვილებს“ (ოჯახი) და შეასრულეთ დავალებები:

1. ამოიწერეთ ხილი, რომელსაც ტექსტში ხვდებით.

2. ჩამოთვალეთ ცხოველები და ფრინველები, რომლებზეც ბებია საუბრობს წერილში.

3.დაწერეთ მიზეზი რატომ ტირის ბებია.

4. როგორ ფიქრობთ, რა არის მურა, რომელზეც ბებია სწერს შვილიშვილებს წერილში?

5. ტექსტის მიხედვით, რაზე ნერვიულობს ბებია?

6. ჩამოდით, შვილებო, ბავშვების ფეხი უნდა ჩვენს ეზოსაც, თორემ ყველგან ბალახი ამოვა.

გადმოეცით თქვენი სიტყვებით ამ წინადადების აზრი.

10 წაიკითხეთ ფრაზები და დანომრეთ დიალოგი.

- [ ] მზიანი, ცაზე ერთი ღრუბელიც არ არის.
- [ ] კარგად დავით, შენ როგორ ხარ?
- [ ] კი, ტატო და გიგაც აქ არიან.
- [ ] კი, გუშინ ჩავედით მატარებლით მე და ჩემი და.
- [ ] როგორი ამინდია?
- [ ] ალო, სოფო როგორ ხარ?
- [ ] რა კარგია, შენი დეიდაშვილებიც მანდ არიან?
- [ ] მეც კარგად. წახვედი ბათუმში?
- [ ] მოკითხვა გადაეცი.
- [ ] კაი დავით, დაგირეკავ ხვალ.
- [ ] კარგია, აბა თქვენ იცით, კარგი დრო გაატარეთ.
- [ ] კარგი. იცი, ხვალ გიგას საცოლე ჩამოდის ბათუმში და გავიცნობთ. ძალიან მაინტერესებს როგორი გოგოა.

დიალოგი

1 მეგობრების შეხვედრა. თქვენ შეხვდით დიდი ხნის უნახავ მეგობარს. ისაუბრეთ (დასვით კითხვები და უპასუხეთ) იმ ხნის განმავლობაში, რაც არ გინახათ ერთმანეთი, რას საქმიანობდით, როგორ ატარებდით დროს.

2 სიტუაცია ექიმთან კონსულტაციაზე, თქვენ უნდა ჩაწეროთ (ჯგუფის ერთი წევრი არის რეგისტრატორი, მეორე პაციენტი. უთხარით რეგისტრატორს, რის ექიმთან გსურთ ჩაწერა (სტომატოლოგი, ყელ-ყურის...), როდის (თარიღი, დრო), იკითხეთ, რა ღირს ექიმთან კონსულტაცია).

3 როლური თამაში: ბანკომატიდან ფულის აღების შემდეგ მაღაზიაში კიდევ დაგჭირდათ ბანკის ბარათი და არ აღმოგაჩნდათ. დაბრუნდით ბანკთან (ბანკომატი), საიდანაც ფული გამოიტანეთ. აუხსენით დაცვას, როდის დაკარგეთ ბარათი და უპასუხეთ მის მიერ დასმულ შეკითხვებს.

4 როლური თამაში. სიტუაცია – ქალაქში ორიენტირი. სიტუაცია ასეთია, წარმოიდინეთ, თქვენს ქალაქში შეგხვდათ ტურისტი, რომელსაც უნდა ასწავლოთ სხვადასხვა ადგილას მისასვლელი გზა. ჯგუფის ერთი წევრი იქნება ტურისტი, მეორე ადგილობრივი მაცხოვრებელი. ტურისტი სვამს კითხვებს, რისი ნახვა სურს, ხოლო თამაშის მეორე მონაწილე ასწავლის დანიშნულების ადგილამდე მისასვლელ გზას. შემდეგ გაცვალეთ როლები.

5 სიტუაცია სადგურზე. იკითხეთ, დანიშნულების ადგილამდე რა სახის სატრანსპორტო საშუალება მიდის, თითოეული მათგანის მგზავრობის ხანგრძლივობა და ფასი.

6 აიღეთ ინტერვიუ ერთმანეთისგან. ჯგუფის ერთი წევრი იყოს ჟურნალისტი, მეორე რესპონდენტი (რესპონდენტი შეიძლება იყოს სპორტსმენი, მსახიობი). ჟურნალისტი სვამს პროფესიასთან დაკავშირებულ კითხვებს და რესპონდენტი პასუხობს.

7 სიტუაცია ტექნიკის მაღაზიაში. აუხსენით კონსულტანტს, რომ სახლისთვის სხვადასხვა სახის ტექნიკის ყიდვა გინდათ და მიიღეთ რჩევა მისგან. გამართეთ დიალოგი და დაუსვით კითხვები თქვენთვის საჭირო ნივთებთან დაკავშირებით.

8 თქვენ მიხვედით ტურისტულ სააგენტოში. გაესაუბრეთ ტუროპერატორს. უთხარით, სად გინდათ დასასვენებლად წასვლა, ზამთრისა თუ ზაფხულის კურორტზე. ჰკითხეთ ტურის ღირებულებაზე, სასტუმროების შესახებ და მიიღეთ პასუხები მისგან. (ჯგუფის ერთ წევრს ტურისტია, მეორე – ტუროპერატორი.)

9 გამართეთ დისკუსია თემაზე მასმედია (მასობრივი ინფორმაციის საშუალებები). ისაუბრეთ, მასმედიის რომელი საშუალებით (ჟურნალ-გაზეთი, ტელევიზია, რადიო) გირჩევიათ ინფორმაციის მიღება და რატომ. დისკუსიაში ჩართული იქნება ჯგუფის ყველა წევრი.

10 გამართეთ დისკუსია უცხო ენის შესწავლასთან დაკავშირებით. რატომ სწავლობენ ადამიანები უცხო ენას, რა უპირატესობა აქვს ბევრი ენის ცოდნას, რაში გვეხმარება ის. დისკუსიაში ჩართული იქნება ჯგუფის ყველა წევრი.

მონოლოგი

1. მოუყევით მეგობრებს თქვენი ქვეყნის/ ქალაქის შესახებ (აღწერეთ ღირსშესანიშნაობები, რომლებსაც აჩვენებდით თქვენს ქვეყანაში / ქალაქში ჩამოსულ სტუმარს).
2. მოუყევით ჯგუფის წევრებს თქვენი საყვარელი ფილმის / მოთხრობის შესახებ (აუხსენით რატომ მოგწონთ, ვინ არიან მთავარი გმირები, დაახასიათეთ ისინი).
3. დაპატიჟეთ მეგობრები პიკნიკზე (უთხარით, სად გამართავთ პიკნიკს, გართობის რა საშუალებები იქნება, რა საჭმელები და სასმელები გექნებათ).
4. ისაუბრეთ თქვენი პირველი სამუშაოს შესახებ.
5. მოუყევით ჯგუფის წევრებს თქვენი ოჯახის ერთ-ერთი წევრის შესახებ. (აღწერეთ მისი გარეგნობა, რა თვისებები აქვს, სად მუშაობს / სწავლობს).
6. მოუყევით ჯგუფის წევრებს სად და რა პირობებში გიყვართ დასვენება / მოგზაურობა.
7. მოუყევით ჯგუფის წევრებს თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ.
8. ჩემი საყვარელი საჭმელი (მოუყევით მეგობრებს, რომელი კერძი გიყვართ ყველაზე მეტად და რა ინგრედიენტებისგან ამზადებენ მას).
9. ისაუბრეთ, რატომ გადაწყვიტეთ ქართულის სწავლა (საიდან გაიგეთ ამ ენის შესახებ, რა მიზნით სწავლობთ, სხვა ენებთან შედარებით რთულია თუ მარტივი ქართული ენა).
10. ისაუბრეთ სოციალური ქსელების მნიშვნელობაზე. მის დადებით და უარყოფით მხარეებზე (რამდენად აქტიურად იყენებთ სოციალურ ქსელებს, რისთვის გჭირდებათ, დამოკიდებული ხართ თუ არა სოციალურ ქსელზე, თუ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობებისთვის იყენებთ).

1 გაეცანით ინფორმაციას ვიზიარის გადახდის სერვისების შესახებ.
მისწერეთ მეგობარს ამ კომპანიით მგზავრობის შემთხვევაში გადახდის რომელ სერვისს გამოიყენებთ და რატომ.



2 თქვენ ნახეთ ვაკანსია სასურველ პოზიციაზე. დაწერეთ მოკლედ, რა უნარების გამო უნდა მოგანიჭონ უპირატესობა.

3 გსურთ ბინის შეძენა. ინტერნეტში გამოაქვეყნეთ განცხადება, როგორი ბინის ყიდვა გინდათ. აღწერეთ ბინა, რომლშიც იცხოვრებდით (რამდენი ოთახი უნდა იყოს, როგორი უნდა იყოს ეს ოთახები, სამზარეულო, აბაზანა).

4 მისწერეთ მეგობარს sms-ით, რომ ვერ ახერხებთ მისვლას შეხვედრაზე (აუხსენით მიზეზი, რატომ ვერ მიდიხართ, როდის მიხვალთ).

5 თქვენ ხართ საზღვარგარეთ სასწავლებლად. მისწერეთ ოჯახის წევრებს თქვენი დღის განრიგი: რას აკეთებთ დღის განმავლობაში, რომელი საგანია თქვენთვის უფრო საინტერესო; რით ერთობით და ვისთან ერთად.

6 დაწერეთ დაბადების დღის ან საქორწილო წვეულების მოსაწვევი ბარათი.
ბარათზე აღნიშნული უნდა იყოს: რა სახის წვეულებაა, ვინ აგზავნის და ვის ეგზავნება, წვეულების გამართვის ადგილი და დრო.

7 დაწერეთ თქვენი შთაბეჭდილებები მოგზაურობის შესახებ (სად იყავით, რით იმოგზაურეთ, რა ღირსშესანიშნაობები ნახეთ, აღწერეთ იმ ქვეყნის სამზარეულო, ადათ-წესები).



8 მისწერეთ წერილი სასტუმროს ადმინისტრაციას. რა დამატებითი ინფორმაციის გაგება გსურთ სასტუმროს შესახებ.

9 გაეცანით, რა სახის სესხებს გთავაზობთ TBC ბანკი:
მისწერეთ ბანკს, რა სახის სესხის აღება გსურთ, მიზეზი, რატომ და რისთვის იღებთ სესხს.



ყველა სესხი | ახალი სახლისთვის | ახალი მანქანისთვის | მომავლისთვის | ყოველდღიური

მაჩვენე პროცენტები ლარში

იპოტეკური სესხი ლარში

გადაიხადეთ ნაკლები - ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი

წლიური 10.5%-დან
ეფექტური 12.29%-დან

საპროცენტო განაკვეთი ლარში

იპოტეკური სესხი

APPLY ONLINE

შეიჩინეთ თქვენი ოცნების სახლი დღეს და გადაიხადეთ ხვალ

არჩეული პირობით პროდუქტი არ არის ხელმისაწვდომი

სამომხმარებლო სესხი

APPLY ONLINE

გამოიყენეთ თანხა ნებისმიერი მიზნით

წლიური 11.5%-დან
ეფექტური 15.10%-დან

საპროცენტო განაკვეთი ლარში

განვადება

APPLY ONLINE

შეიძინეთ ნებისმიერი ნივთი ონლაინ ან ისარგებლეთ განვადებით პირდაპირ მაღაზიებში

ეფექტური 0%-დან

საპროცენტო განაკვეთი ლარში

ავტო სესხი

APPLY ONLINE

შეიძინეთ ახალი ან მეორადი მანქანა და ისარგებლეთ გამარტივებული პროცედურებით

ლარში

ოვარდფრატი

ისარგებლეთ დამატებითი სესხებით გაუთვალისწინებელი ხარჯებისას

წლიური 13-24.0%
ეფექტური 12.78; 26.73%

საპროცენტო განაკვეთი ლარში

საკრედიტო ხაზი

მაშინ, როდესაც არ იცით, რა თანხა დაგჭირდებათ მომავალში

არჩეული პირობებით პროდუქტი არ არის ხელმისაწვდომი

სტუდენტური სესხი

დააფინანსეთ თქვენი მომავალი!

წლიური 20.00% ეფექტური 26.74%

საპროცენტო განაკვეთი ლარში

სესხი ფულადი გზავნილის გათვალისწინებით

აიღეთ სესხი მხოლოდ ფულადი გზავნილების გათვალისწინებით

მოარგე

შენს ბიზნეს საჭიროებებს

MAIL

Inbox (1)
Sent Mail
Drafts (3)
Spam
Trash
More

Sans Serif TT B I U A

10 დაწერეთ, სად და როგორ ატარებთ თავისუფალ დროს.

www. geofl.ge